**ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ოქმი # 1**

ქ. ონი 24. 01. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

**სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი:** სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

**არ ესწრებოდნენ :** თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 20223 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა განიხილეს და გადაწყვიტეს დამტკიცდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ  სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სერგო ლობჯანიძე**

კომისიის თავმჯდომარე